შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“
გენერალურ დირექტორს
ლ. კ.-ს
ელ-ფოსტა: mhpa@mhpa.ge
მის: ქ. თბილისი, პ. ქავთარაძის ქ. ჩიხი N2

ასლი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

საქმიანობის ფორმის ნიშნით ირიბი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბატონო ლ.,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარეობს საქმისწარმოება --.-ს N4093/22 განცხადებასთან დაკავშირებით, რომლითაც განმცხადებელი ითხოვს საქმიანობის ფორმის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის შესწავლას.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა რამდენჯერმე გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან და ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრიდან.[1] თავის მხრივ, განმცხადებელმა დამატებით წარმოადგინა პოზიცია მოპასუხე მხარის მიერ მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით.[2]

1. ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლის მითითებით, 2021 წლის დეკემბრიდან იგი არის ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამის მოსარგებლე და იმის გამო, რომ 2022 წლის თებერვალში ქვეყნის შიგნით, სამუშაოს შესრულების მიზნით გადაადგილებას აპირებდა, სამკურნალო საშუალების 4 დღის დოზის ხელზე გატანა ითხოვა.[3] თუმცა, აღნიშნული შესაძლებლობით ვერ ისარგებლა, ვინაიდან იგი

---

[1] სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 14 აპრილის N13-2/3990 წერილი; სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 30 მაისის N13-3/5543 წერილი.

[2] -- .-ს 2022 წლის 30 მაისის N6139/22 წერილი.

[3] „ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის განხორციელების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 3 ივლისის N01-41/ნ ბრძანების მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის

თვითდასაქმებული სამთო-სათხილამურო ინსტრუქტორია, რის გამოც, დასაქმების დოკუმენტური დადასტურება არ შეეძლო.

საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა შესაბამისი ინფორმაცია გამოითხოვა 2022 წლის 14 აპრილის N13-2/3990 წერილით. საპასუხო კორესპონდენციით (NOL-6835/-5/22, 05.05.2022) აპარატს განემარტა, რომ ბენეფიციართათვის სამკურნალო საშუალების ხელზე გატანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ცენტრის შესაბამისი ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი განყოფილების საექიმო საკონსულტაციო კომისია, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, შემთხვევის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, მათ შორის, უზრუნველყოფს ბენეფიციართა ინფორმირებას ჩანაცვლებითი თერაპიის განმახორციელებელი სხვა ტერიტორიული ერთეულების შესახებ. ამასთან, დამკვიდრებული ზოგადი პრაქტიკის თანახმად, მხოლოდ ბენეფიციარის პირადი განცხადება არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს, მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ბენეფიციარზე დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გაცემისთვის.

წერილში ხაზგასმულია, რომ ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელების პროცესში გამოყენებადი სამკურნალო საშუალება წარმოადგენს პირველი ჯგუფის ნარკოტიკულ ნივთიერებას - მკაცრ კონტროლს დაქვემდებარებულ საშუალებას (მისი არასწორი მოხმარება, მაგალითად, ზედოზირება, შესაძლოა, განაპირობებდეს ლეტალურ შედეგს ან/და ჯანმრთელობის წარუშლელ დაზიანებას), რის გამოც, *ქვეყნის შიგნით გადაადგილების მიზეზის დასაბუთებული შემთხვევა* განიმარტება, როგორც გადაადგილების მიზეზის დასაბუთება იმგვარი დოკუმენტის შეფასების საფუძველზე, რომელიც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს პირის მიერ ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელ შესაბამის განყოფილებაში გამოცხადების შეუძლებლობაზე საპატიო მიზეზით, მაგალითად: სამსახურებრივი მივლინება, დასაბუთებული პირის მიერ დასაქმების შესახებ ცნობით, მივლინების შესახებ ბრძანებით და სხვა. ამასთან, მედიკამენტის გაცემა ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ გადაადგილების მიმართულებას წარმოადგენს იმგვარი ლოკაცია, რეგიონი, სადაც შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ არ ახორციელებს ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამას ლოკალური განყოფილების მეშვეობით.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა 2022 წლის 30 მაისის N13-3/5543 წერილით განმეორებით მიმართა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს“ და მოითხოვა, მათ შორის, შემდეგი ინფორმაცია: განიხილა თუ არა სამკურნალო საშუალების ხელზე გატანის თაობაზე --.-ს მოთხოვნა ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი განყოფილების საექიმო საკონსულტაციო კომისიამ; ჰქონდა თუ არა ---ს შესაძლებლობა, სამკურნალო საშუალება გუდაურში ყოფნის პერიოდში ადგილზე მიეღო ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი რომელიმე ტერიტორიული ერთეულის მეშვეობით; როგორ წყდება სამკურნალო საშუალების ხელზე გაცემის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის პირს ქვეყნის შიგნით გადაადგილება უწევს

თანახმად: „პაციენტის ქვეყნის შიგნით გადაადგილების მიზეზის დასაბუთებულ შემთხვევაში, სსკ-ს აქვს უფლება ხელზე გაატანოს სამკურნალო საშუალება არა უმეტეს 4 დღის დოზისა.“

პირადი მიზეზით (მაგალითად, ოჯახის წევრის გარდაცვალების გამო). სახალხო დამცველის აპარატს საპასუხო კორესპონდენცია ამ დრომდე არ მიუღია.

თავის მხრივ, -- -მ N6139/22 დამატებით განცხადებაში ხაზი გაუსვა, რომ მოპასუხეს არ მიუთითებია თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამით მოსარგებლე თვითდასაქმებული პირი ან რა მტკიცებულებების წარდგენაა საჭირო, რომ ამ ჯგუფმაც ისარგებლოს არსებული გამონაკლისით. შესაბამისად, იგი მიიჩნევს, რომ დადგენილი პრაქტიკა არ ითვალისწინებს თვითდასაქმებული პირების საჭიროებებს, სრულად გამორიცხავს მათ მიერ განსახილველი შესაძლებლობის გამოყენებას, რითიც მათ ფორმალურ სექტორში დასაქმებულ პირებთან მიმართებით, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს.

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. ზოგადი დებულებები

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას.[4] საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მისგან მომდინარეობს ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისთვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწოროებს - პირიქით.[5]

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით აკრძალულია ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარ მდგომარეობას აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ირიბი დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც **არსებული წესი ან პრაქტიკა არის ნეიტრალური - უფლებით სარგებლობისას არ აწესებს შეზღუდვას რომელიმე ჯგუფის მიმართ, თუმცა, არაპირდაპირ, გამორიცხავს რომელიმე პირის ან პირთა ჯგუფის მიერ უფლების გამოყენებას.** ამასთან, ამგვარი მიდგომით პირს ხელი ეშლება საქართველოს

---

[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის N1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე: *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,* ნაწ. II, პარ. 1.

[5] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე: *საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ,* ნაწ. II, პარ. 2.

კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი ან განსხვავებული მოპყრობა ასეთი მიზნით მიღწევის არაპროპორციული საშუალებაა.

2.2 კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომლით სარგებლობაშიც ხელი შეეშალა განმცხადებელს

როგორც ზემოთ აღინიშნა, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის აუცილებელია, რომ სახეზე იყოს უფლება, რომლით სარგებლობაშიც განმცხადებელს ხელი შეეშალა.

სახალხო დამცველი ყურადღებას მიაპყრობს ჩანაცვლებითი მკურნალობის მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც მოიცავს პირის სომატური და ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სოციალურ ადაპტაციას, საზოგადოებაში რეინტეგრაციას; აივ-ინფექცია/შიდსის, ჰეპატიტებისა და სისხლის გზით გადამდები სხვა დაავადებების გავრცელების პრევენციას; რემისიის მდგომარეობის მიღწევას; ნარკოტიკების/არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების შეწყვეტა/შემცირებას და პირის ფსიქოსომატური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში ჩართულ პირთა საზოგადოებრივი საშიშროების რისკის შემცირებას.[6] ამდენად, ჩანაცვლებითი მკურნალობა პირდაპირ უკავშირდება პროგრამაში ჩართულ პირთა ჯანმრთელობის დაცვას (ჯანმრთელობის დაცვის უფლება) და საზოგადოების წევრებთან და გარე სამყაროსთან მათი ურთიერთობების განვითარებას, რაც პიროვნების თავისუფალი განვითარების და პირადი ცხოვრების უფლებებით დაცულ სფეროებში ექცევა.[7]

გარდა ამისა, შესაბამისი ნორმატიული მოწესრიგებიდან ცალსახად იკვეთება მკურნალობის უწყვეტობის შენარჩუნების მნიშვნელობა. ამ მიზნით, გარკვეულ შემთხვევებში, უზრუნველყოფილია სამკურნალო საშუალების ჩანაცვლებითი მკურნალობის განმახორციელებელი დაწესებულების გარეთ მიღების შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევებს წარმოადგენს სხვა სტაციონარში სამკურნალოდ მოხვედრა, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ნარკოლოგიურ დაწესებულებაში გამოცხადების დადასტურებული შეუძლებლობა, ქვეყნიდან პროგრამის მოსარგებლის გასვლა, საიზოლაციო/საკარანტინო ღონისძიებების მოქმედება და შემთხვევა, რომელიც განსახილველი საქმის ფარგლებში უნდა შეფასდეს - პაციენტის ქვეყნის შიგნით გადაადგილების მიზეზის დასაბუთებული შემთხვევა.[8]

სამწუხაროდ, სახალხო დამცველს არ მიეცა შესაძლებლობა, ამომწურავი ინფორმაცია მიეღო ქვეყნის შიგნით გადაადგილების მიზეზის დასაბუთებული შემთხვევების თაობაზე, ვინაიდან 2022 წლის 30 მაისის N13-3/5543 წერილზე საპასუხო კორესპონდენცია არ მიუღია. თუმცა, როგორც ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის NOL-6835/-5/22 წერილით დგინდება, საპატიო მიზეზად მიიჩნევა შრომითი ფუნქციების განხორციელების მიზნით ქვეყნის შიგნით გადაადგილება.

---

[6] იქვე, მუხ. 3.

[7] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *P.G. AND J.H. v. THE UNITED KINGDOM*, პარ. 56.

[8] „ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის განხორციელების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 3 ივლისის N01-41/ნ ბრძანება, მუხ. 7, პუნ. 4-13.

„შრომისა და საქმიანობის სფეროში დისკრიმინაციის შესახებ“ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, განსაზღვრონ და გაატარონ ეროვნული პოლიტიკა, რომლის მიზანია, შრომისა და საქმიანობის კუთხით თანასწორი მოპყრობისა და შესაძლებლობების წახალისება და ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრა.[9] ამასთან, კონვენცია ადგენს ამგვარ პოლიტიკასთან შეუთავსებელი ნებისმიერი ადმინისტრაციული პრაქტიკის შეცვლის მოთხოვნას.[10] კონვენცია ეფუძნება პოსტულატს, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება, იღწვოდეს თავისი მატერიალური კეთილდღეობისა და სულიერი განვითარებისთვის თავისუფლებისა და ღირსების, ეკონომიკური სტაბილურობისა და თანასწორი შესაძლებლობების პირობებში.[11]

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტებით, ტერმინი „შრომა და საქმიანობა“ მოიცავს თვითდასაქმებულ პირებსაც და არ შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური ეკონომიკით.[12] მსგავსად, გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტიც მიუთითებს, რომ შრომის უფლება, რომელიც შრომით საარსებო სახსრების მოპოვებას გულისხმობს,[13] აერთიანებს შრომის ნებისმიერ ფორმას, იქნება ეს დამოუკიდებელი შრომა თუ სახელფასო სამუშაო.[14] საერთაშორისო ინსტიტუტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ადამიანები არაფორმალურ ეკონომიკაში, მეტწილად, გადარჩენის საჭიროებიდან გამომდინარე საქმიანობენ და აღნიშნული ნაკლებად არის განპირობებული მათი არჩევანით, არამედ - იმ ფაქტით, რომ მათ უჭირთ სამსახურის შოვნა ან ბიზნეს საქმიანობის დაწყება.[15] აღსანიშნავია, რომ *თვითდასაქმებულის* ცნებას იცნობს ეროვნული კანონმდებლობაც. კერძოდ, „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი დასაქმებას განმარტავს, როგორც *სამუშაოს მიღებას ან თვითდასაქმებას* და დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებად მოიაზრებს, მათ შორის, თვითდასაქმების მიზნით სამუშაოს მაძიებლის გაძლიერებას.[16]

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელს არ მიეცა შესაძლებლობა, სამკურნალო საშუალების 4 დღის დოზა ხელზე გაეტანა დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების მიზნით. ამდენად, იგი, ფაქტობრივად, იძულებული გახდა, უარი ეთქვა რომელიმე კონსტიტუციური უფლებით (ჯანმრთელობის დაცვის, პიროვნების თავისუფალი განვითარების და პირადი ცხოვრების უფლებებით ან შრომის უფლებით) სარგებლობაზე.

---

[9] შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N111 კონვენცია შრომისა და საქმიანობის სფეროში დისკრიმინაციის შესახებ, 1958, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, მუხ. 2.

[10] იქვე, მუხ. 3 („გ“).

[11] იქვე, პრეამბულა.

[12] *ღირსეული სამუშაო და არაფორმალური ეკონომიკა*, შრომის საერთაშორისო ოფისი, 2002, გვ. 43, ხელმისაწვდომია: https://www.ilo.org/public/english/standards/relm/ilc/ilc90/pdf/rep-vi.pdf

[13] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხ. 6.

[14] გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N18, *შრომის უფლება, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლი*, E/C.12/GC/186, 2006, პარ. 6.

[15] იქვე, პარ. 10; *ღირსეული სამუშაო და არაფორმალური ეკონომიკა*, შრომის საერთაშორისო ოფისი, 2002, გვ. 1, ხელმისაწვდომია: https://www.ilo.org/public/english/standards/relm/ilc/ilc90/pdf/rep-vi.pdf

[16] „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 3, პუნ. 3(„გ“), მუხ. 18. პუნ. 2, იხ. აგრეთვე, მუხ. 28.

2.3 ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ირიბი დისკრიმინაცია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, შესაძლოა გამოვლინდეს ისეთ შემთხვევებში, როდესაც ზოგად პოლიტიკას ან ღონისძიებას არაპროპორციულად საზიანო ეფექტი აქვს. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ნეიტრალურად არის ფორმულირებული, ახდენს კონკრეტული ჯგუფის მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას.[17] ამასთან, ირიბი დისკრიმინაცია აუცილებლად არ მოითხოვს დისკრიმინაციული მიზნის არსებობას.[18] ამდენად, შესაძლოა, რაიმე პოლიტიკა ან ღონისძიება არ იყოს პირდაპირ გამიზნული ან მიმართული კონკრეტული ჯგუფის მიმართ, თუმცა, არაპირდაპირ მაინც ახდენდეს აღნიშნული ჯგუფის დისკრიმინაციას.[19]

ნეიტრალური წესი

შესაბამისად, პირველ კრიტერიუმს წარმოადგენს ისეთი წესისა თუ მოთხოვნის არსებობა, რომელიც ნეიტრალურია ანუ მიემართება ყველას,[20] განურჩევლად პიროვნული მახასიათებლისა თუ საერთო მახასიათებლების მქონე ჯგუფისა.

სწორედ ასეთად უნდა მივიჩნიოთ განსახილველი საგამონაკლისო შესაძლებლობა, ვინაიდან შესაბამისი ნორმატიული დებულება თვითდასაქმებულ პირებს სარგებლობიდან პირდაპირ არ გამორიცხავს - *პაციენტის ქვეყნის შიგნით გადაადგილების მიზეზის დასაბუთებულ შემთხვევაში, სამედიცინო-საკონსულტაციო კომისიას აქვს უფლება ხელზე გაატანოს სამკურნალო საშუალება არა უმეტეს 4 დღის დოზისა.* ამდენად, წესი ნეიტრალურად არის ფორმულირებული.

ნეგატიური ეფექტი კონკრეტული ჯგუფის მიმართ

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ჯანმრთელობის დაცვის, პიროვნების თავისუფალი განვითარების და პირადი ცხოვრების უფლებების რეალიზაციის პარალელურად, საარსებო სახსრების მოპოვება თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც ფორმალურ სექტორში დასაქმებული პირებისთვის, ისე - თვითდასაქმებულებისთვის. შესაბამისად, განსახილველი საქმის მიზნებისთვის, აღნიშნულ კატეგორიებს მიკუთვნებული სუბიექტები არსებითად თანასწორ მდგომარეობაში მყოფ პირებად უნდა განვიხილოთ.

თუმცა, ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს თვითდასაქმებულ პირებს და უზღუდავს მათ საგამონაკლისო შემთხვევით სარგებლობის შესაძლებლობას, ვინაიდან გადაადგილების მიზეზს

---

[17] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *D.H. AND OTHERS v. THE CZECH REPUBLIC,* პარ. 184; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: *BIAO v. DENMARK*, პარ. 103.

[18] იქვე.

[19] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: *HUGH JORDAN v. THE UNITED KINGDOM,* პარ. 154.

[20] დისკრიმინაციის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო და ევროპის საბჭო, 2018, ხელმისაწვდომია: < https://rb.gy/nnebsm >, გვ. 54.

დასაბუთებულად მიიჩნევს მხოლოდ იმგვარი დოკუმენტის შეფასების საფუძველზე, რომლის წარდგენაც მხოლოდ შრომის ორგანიზაციული მოწყობის პირობებში დასაქმებულ პირს შეუძლია - დასაქმების შესახებ ცნობა, მივლინების შესახებ ბრძანება. მართალია, ცენტრის მიერ მითითებული ჩამონათვალი არაამომწურავია („და სხვა“ დაბოლოებით), თუმცა, სახალხო დამცველის აპარატის შესაბამის კითხვებზე საპასუხოდ, მოპასუხეს არ მიუთითებია არცერთ შემთხვევაზე, როდესაც სამკურნალო საშუალება ხელზე გაიცა სხვა დოკუმენტ(ებ)ის საფუძველზე. ამასთან, უცნობი დარჩა, თუ როგორ განიხილა ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი განყოფილების საექიმო საკონსულტაციო კომისიამ სამკურნალო საშუალების ხელზე გატანის თაობაზე -- -ს მოთხოვნა და ჰქონდა თუ არა განმცხადებელს შესაძლებლობა, სამკურნალო საშუალება გუდაურში ყოფნის პერიოდში ადგილზე მიეღო ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი რომელიმე ტერიტორიული ერთეულის მეშვეობით.

საგულისხმოა, რომ მოქნილი მექანიზმების არარსებობა უარყოფით ზეგავლენას ახდენს სხვა პირების ინტერესებზეც, რომლებსაც ქვეყნის შიგნით გადაადგილება შესაძლოა არასამსახურებრივი, პირადი მიზეზებით უწევდეთ, როგორიცაა, მაგალითად, ოჯახის წევრის გარდაცვალება.

2.4. ლეგიტიმური მიზანი და ობიექტური და გონივრული გამართლება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ამგვარი მდგომარეობა არ ჩაითვლება დისკრიმინაციად, თუ ის ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, აქვს გონივრული და ობიექტური გამართლება და გამოყენებული საშუალება თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

ამავე კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია საქმის წარმოებისას მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტი, რომლის თანახმად, პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც სავარაუდო **დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა**.

მოცემულ შემთხვევაში, ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ხაზს უსვამს რისკებს, რომლებიც მედიკამენტის ხელზე გატანას შეიძლება უკავშირდებოდეს, რასაც სახალხო დამცველი, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს და ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნევს. თუმცა, ზემოთ მიმოხილული ნორმატიული გამონაკლისები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ პროგრამის მონაწილეთა თანადროული ინტერესების დაბალანსების მიზნით, მკაცრად შეზღუდული პირობებით, აღნიშნული რისკის გაწევა გამართლებული და, შესაძლოა, აუცილებელიც არის.

აღნიშნულის მიუხედავად, თვითდასაქმებული პირები სამკურნალო საშუალების არა უმეტეს 4 დღის დოზის გატანის შესაძლებლობიდან სრულად არიან გამორიცხულნი, რაც ვერ ჩაითვლება მედიკამენტის არასწორ მოხმარებასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის მისაღწევად ობიექტურად გამართლებულ და თანაზომიერ საშუალებად და საქმიანობის ფორმის ნიშნით

დისკრიმინაციულ გარემოს ქმნის, იმ პირობებში, როდესაც მსგავსი შესაძლებლობით სარგებლობა უზრუნველყოფილია არსებითად თანასწორ მდგომარეობაში მყოფი, ფორმალურად დასაქმებული პირებისთვის. საგულისხმოა, რომ -- -ს პრეპარატის ხელზე გატანა სჭირდებოდა სეზონური ხასიათის საქმიანობის განსახორციელებლად, რა დროსაც საარსებო წყაროს მიღების შესაძლებლობა შეზღუდული დროით არის შემოფარგლული. ფინანსური არასტაბილურობა ზოგადადაც წარმოადგენს თვითდასაქმებული პირების წინაშე მდგარ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას, რაც, აღნიშნული ინტერესის გათვალისწინების აუცილებლობას კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს.

თვითდასაქმებული პირების წინაშე არსებული გამოწვევები ნათლად გამოვლინდა კოვიდ-პანდემიის პერიოდში, რა დროსაც სახელმწიფომ აღიარა მათთვის შემოსავლების მიუღებლობით გამოწვეული პრობლემების დაძლევის მნიშვნელობა და კრიზისის შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნით, ერთჯერადად 300 ლარის ოდენობით კომპენსაციის გაცემა უზრუნველყო.[21] მართალია, თავდაპირველად, თვითდასაქმების ფაქტის დოკუმენტური დადასტურების პროცესი პრობლემურად წარიმართა, თუმცა, კომპენსაციის გაცემის პროცესი ეტაპობრივად გამარტივდა, რის შედეგადაც, თვითდასაქმებულთა კომპენსირებისთვის გაწეულმა ხარჯმა 111,2 მილიონი შეადგინა.[22] ამდენად, ქვეყანაში თვითდასაქმების ფაქტის დადასტურების კუთხით გარკვეული გამოცდილება უკვე დაგროვილია, რაც, ამ მხრივ, მოქნილი მექანიზმების დანერგვის შესაძლებლობაზე მეტყველებს.

3. დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ -- -ს მიმართ განხორციელდა ირიბი დისკრიმინაცია საქმიანობის ფორმის ნიშნით.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლითა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს სახალხო რეკომენდაციით მოგმართავთ რეკომენდაციით:

- დანერგოთ მოქნილი მიდგომა, ქვეყნის შიგნით გადაადგილების მიზეზის დასაბუთებულ შემთხვევაში, სამკურნალო საშუალების არა უმეტეს 4 დღის დოზის ხელზე გატანის შესაძლებლობაზე თვითდასაქმებული პირების წვდომის უზრუნველსაყოფად. ასევე, გაითვალისწინოთ ქვეყნის შიგნით გადაადგილების სხვა საპატიო შემთხვევები (მაგალითად, ოჯახის წევრის გარდაცვალება);
- ზემოხსენებული მიზნებით, შიდა ორგანიზაციულ დოკუმენტებში ასახოთ იმ კრიტერიუმებისა და დოკუმენტების არაამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა საფუძველზეც

---

[21] „ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის N286 დადგენილება, მუხ. 2, პუნ. 1(ვ[1]), პუნ. 2(„ვ“).

[22] იხ. *არაფორმალობა პანდემიამდე და პანდემიის შემდეგ, ვინ მოიცვა (და ვინ ვერ მოიცვა) საქართველოში სახელმწიფოს ანტიკრიზისულმა გეგმამ? გამოწვევა, ჩავარდნა და პოლიტიკის გარდაქმნის შესაძლებლობა,* სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/wmzwdc

თვითდასაქმებულ თუ ქვეყნის შიგნით გადაადგილების საპატიო მიზეზის მქონე სხვა პირებს მედიკამენტის ხელზე გატანის შესაძლებლობა მიეცემათ.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,